ხელშეკრულება ID 122

DAISY *e.* XPERT საკონტროლო სალარო აპარატის
საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 11/ ოქტომბერი / 2016

ერთის მხრივ, შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" (შემდგომში "შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი გაყიდვების მენეჯერის ქეთი ჯინიაშვილი სახით და მეორეს მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო წარმოდგენილი მისი გენ. დირექტორი გიორგი ხანიშვილის სახით, (შემდგომში "დამკვეთი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10 1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას, გაუწიოს დამკვეთის საკუთრებაში არსებულ ამ მუხლის 1.2. პუნქტში აღნიშნულ "DAISY *e.* XPERT" საკონტროლო სალარო აპარატს (ებს), (შემდგომში "სსა") სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურება, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილება. ხოლო დამკვეთი თავის მხრივ იღებს ვალდებულებას ამ მუხლში აღნიშნული მომსახურების მიღების მიზნით შემსრულებელს გადაუხადოს ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი;

1.2. საკონტროლო სალარო აპარატის (ების) მონაცემები:

N	ფისკალური მეხსიერების ნომერი	სსა-ს ნომერი DY
1.	----------	DY00008155

CPV –64200000

2.მომსახურების გაწევის წესი და პირობები

2.1. სსა-ს საგარანტიო პერიოდი აითვლება მისი პირველადი რეგისტრაციის მომენტიდან და სრულდება 3 კალენდარული წლის გასვლისთანავე. საგარანტიო მომსახურება გულისხმობს შემსრულებლის მხრიდან სსა-ის ნებისმიერი ტექნიკური გაუმართაობის მიზეზების აღმოფხვრას იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი შემსრულებელს მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თითოეულ საანგარიშო თვეზე გადაუხდის ამ ხელშეკრულების 4-ე მუხლით გათვალისწინებულ სააბონენტო გადასახადს; საგარანტიო მომსახურების ღირებულება გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების ღირებულებაში.

2.2. შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების გაწევა ხორციელდება შემსრულებლის შესაბამის სერვისცენტრში, შესაბამისი კვალიფიკაციის ტექნიკური პერსონალის მიერ. აღნიშნული მომსახურების მისაღებად დამკვეთი ვალდებულია დაზიანებული სსა მიაწოდოს შემსრულებელს შესაბამის სერვის ცენტრში; რომელიც თავის მხრივ ვალდებულია განახორციელოს ტექნიკური და საგარანტიო მომსახურება.

2.3. იმ შემთხვევაში, თუ სსა-ის დაზიანება გამოწვეულია დამკვეთის მხრიდან მომხმარებლის სახელმძღვანელოში მითითებული წესების არასწორად გამოყენების, ძაბვის ცვალებადობის, სსა-ს შიდა მოწყობილობაში შესვლის მცდელობის, მისი მექანიკური დაზიანების, ფორს მაჟორული შემთხვევის შედეგად,

დამკვეთი კარგავს შემსრულებლისგან საგარანტიო და ტექნიკური მომსახურების მიღების მოთხოვნის უფლებამოსილებას;

2.4. ამ მუხლის 2.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია განაახლოს სსა-ს საგარანტიო და ტექნიკური მომსახურება, მხოლოდ მისი აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდეგ, რომლის ღირებულებაც განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით.

3.შემსრულებლის უფლებამოსილება

3.1. შემსრულებელი უფლებამოსილია დროებით, ნაწილობრივ ან/და მთლიანად შეუჩეროს ან/და შეუწყვიტოს დამკვეთს სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურების, ასევე კრიპტო მოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილების მომსახურების გაწევა, იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის არ განხორციელდება ხელშეკრულების 4-ე მუხლით გათვალისწინებული სააბონენტო გადასახადის დროულად და სრულად გადახდა.

4. სააბონენტო გადასახადი და ანგარიშსწორების წესი

4.1. დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის გადასახდელი მომსახურების სააბონენტო გადასახადი განისაზღვრება წლიურად 60 (სამოცი) ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით ერთ სსა-ზე;

4.2. დამკვეთის მიერ სააბონენტო გადასახადის გადახდა ხორციელდება შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე 12 (თორმეტი) თვის გადასახადის წინასწარ ჩარიცხვის გზით;

4.3. იმ შემთხვევაში თუ სსა-ს პირველადი რეგისტრაცია შემსრულებლის მიერ მოხდება თვის პირველი ნაწილის განმავლობაში (თვის 1 რიცხვიდან 15 რიცხვის ჩათვლით) ასეთ შემთხვევაში დამკვეთს დაერიცხება მთლიანი სააბონენტო გადასახადი 5 ლარის ოდენობით ერთ სსა-ზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სსა-ს პირველადი რეგისტრაცია მოხდება თვის მეორე ნაწილის განმავლობაში (თვის 16 რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით) ასეთ შემთხვევაში დამკვეთს დაერიცხება სააბონენტო გადასახადის ნახევარი 2,5 ლარის ოდენობით ერთ სსა-ზე.

5.ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი გაგრძელების და შეწყვეტის პირობები

5.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან;

5.2.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

5.2.1.შემსრულებლის მიერ, თუ დამკვეთი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.2.დამკვეთის მიერ, თუ შემსრულებელი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

5.2.3.მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

5.3.ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება 12 (თორმეტი) თვით 2016 წლის 19 ოქტომბრიდან 2017 წლის 20 ოქტომბრამდე.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1.წინამდებარე ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხები გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

7. დასკვნითი დებულებანი

7.1.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

7.2.წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ან/და ნაწილის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სრულ ბათილობას;

7.3.ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

8.მხარეები და მათი რეკვიზიტები:

8.1. შემსრულებელი	8.2. დამკვეთი
შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" ს/ნ: 406049823 ს.ს. „კორ სტანდარტ ბანკი" ბანკის კოდი KSBGGE22 ა/ა GE65 KS00 0000 0360 2001 26 (ხელმოწერა) გაყიდვების მენეჯერი: ქეთი ჯინიაშვილი	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო** ძველი თბილისი გულუას 4 საიდენტიფიკაციო კოდი: 205081249 ტელ.: 577050655 (ხელმოწერა) გენერალური დირექტორი: გიორგი ხანიშვილი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080119610955616

 # 817

04 / მარტი / **2016** წ.

სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის“ გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის პირველ მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ SMP160000806 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია საკონტროლო სალარო აპარატების (სსა-ს ნომრები: DY 00008155; DY 00048265; DY 00048309; DY 00048278; DY 00048290; DY 00122167; DY 00128091; DY 00048256; DY 00149017) სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურება, ასევე კრიპტომოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილების მომსახურება (CPV-64200000 სატელეკომუნიკაციო მომსახურებები).

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს, მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას, გამოყენებული უნდა იქნეს საკონტროლო-სალარო აპარატები.

ამასთან, შემსყიდველისვე განმართებით, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ“ საკონტროლო სალარო აპარატი შეიძინა შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკისგან". ბაზრის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქვეყნის შიგნით არ არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია მსგავსი მომსახურების გაწევა. შესაბამისად, საკონტროლო-სალარო აპარატის ტექნიკური მომსახურება ამავე კომპანიისგან უნდა იქნას შეძენილი.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის

ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, შპს „ჯორჯიან სერვის ნეთვორკს" გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება, განახორციელოს საკონტროლო სალარო აპარატის სარეგისტრაციო, საგარანტიო, ტექნიკური და შემოსავლების სამსახურთან GPRS კავშირის მომსახურება, ასევე კრიპტომოდულის ავტორიზაციის გასაღების პერიოდული ცვლილების მომსახურება. აღნიშნული დასტურდება შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, სადაც მითითებულია, რომ „სალარო აპარატის რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ სერვისცენტრში. *GPRS* და *crypto*-ს მოდულის ფისკალური სსა-ის რეგისტრაციას/რეგისტრაციიდან მოხსნას ახორციელებს სხვა იურიდიული პირი, კერძოდ შპს „ჯორჯიან სერვის ნეტვორკი".

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" SMP160000806 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე